საქართველოს კანონი

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 5.09.2003, მუხ. 195) მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. ლიცენზიის მაძიებელი (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო), რომელსაც სურს დროებითი ბანკის დაფუძნება, თავისუფლდება საბანკო საქმიანობის სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდისაგან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

20 დეკემბერი 2019 წ.

N5666-რს